

თერჯოლის მუნიციპალიტეტი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის  
შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის  
2022 წლის

თერჯოლის მუნიციპალიტეტი

წლიური ანგარიში

**ეგზავნება თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის მ/შ ბატონ მანუჩარ რობაქიძეს**

შიდა აუდიტის არსია დაწესებულების საქმიანობის გაუმჯობესებისა და მისი მიზნების მიღწევის უზრუნველყოფისაკენ მიმართული დამოუკიდებელი, ობიექტური და საკონსულტაციო საქმიანობა, რომელიც სისტემატიზებული, დისციპლინური მიდგომით აფასებს და აუმჯობესებს რისკის მართვის, კონტროლისა და მმართველობითი პროცესის ეფექტიანობას და მიმართულია დაწესებულების ამოცანების სრულყოფილად შესრულებისაკენ.

„სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე და 22-ე მუხლების მოთხოვნების შესაბამისად, ასევე თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2018 წლის 26 იანვრის №4 დადგენილებით დამტკიცებული „თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის დებულების“, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის 31.12.21



ნლის №28.28213651 ბრძანებით დამტკიცებული შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის 2022 წლის წლიური გეგმის საფუძველზე, შიდა აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარდა შემდეგი შემონმებები:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის შესაბამისობის აუდიტორული შემონმება.
2. სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის შესაბამისობის აუდიტორული შემონმება.
3. ა(ა)იპ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის შესაბამისობის აუდიტორული შემონმება.

აუდიტორული შემონმებები ჩატარდა აუდიტის ობიექტების მიერ 2021 წლის მდგომარეობით ფინანსური მართვის კონტროლის, საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივად ხარჯვის, ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების შემონმების, მოქმედ სტანდარტებთან მათი შესაბამისობის, სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორების სისწორის შემონმების მიზნით. აღნიშნულ ობიექტებში აუდიტორული შემონმებები დაიწყო 2022 წლის 7 მარტიდან და დამთავრდა 2022 წლის 27 დეკემბერს.

შიდა აუდიტორულმა შემონმებებმა მოიცვა ძირითადი მიმართულებები: შესაბამისობის და ფინანსური აუდიტი და მასთან დაკავშირებული ანგარიშები. ორგანიზაციისათვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსების, მიღებული დაფინანსების მიზნობრიობის, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა-ანგარიშგების, სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორების მდგომარეობა, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების სისწორე და სხვა ორგანიზაციული საკითხები.


შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის მიერ შიდა აუდიტი წარიმართა საქართველოს კანონის „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტები მოითხოვს აუდიტორების მიერ ეთიკის კოდექსის დაცვას, აუდიტის დაგეგმვას და წარმართვას იმგვარად, რომ აუდიტორული შემონმების შედეგად დადგინდეს შეესაბამება თუ არა ორგანიზაციის საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები მოქმედ კანონმდებლობას.

შიდა აუდიტორული ანგარიშების შედეგისას გამოყენებული იქნა შემდეგი ნორმატიული აქტები: საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, საქართველოს მთავრობის დადგენილება „შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს კანონი „მენარმეთა შესახებ“, „ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები“, საქართველოს საგადასახადო კოდექსი, საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და სხვა ნორმატიული აქტები.

2022 წლის შიდა აუდიტორული შემონმებები

შიდა აუდიტის ობიექტი	აუდიტის თემა	შემონმების პერიოდი	შესამონმებელი პერიოდი	ჯგუფის წევრების რაოდენობა
----------------------	--------------	--------------------	-----------------------	---------------------------

2 შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის 2022 წლის წლიური ანგარიში



1. მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური	აუდიტის თემა დაზუსტდება ინდივიდუალური გეგმის მომზადების პროცესში.	2022 წლის თებერვალი 2022 წლის მარტი	2021 წელი	2
2. სივრცითი მონაცემების, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახური	აუდიტის თემა დაზუსტდება ინდივიდუალური გეგმის მომზადების პროცესში.	2022 წლის აპრილი - 2022 წლის მაისი	2021 წელი	2
3. ა(ა)იპ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური	აუდიტის თემა დაზუსტდება ინდივიდუალური გეგმის მომზადების პროცესში.	2022 წლის - აგვისტო 2022 წლის სექტემბერი	2021 წელი	3

ზემოთ ჩამოთვლილ აუდიტის ობიექტებში აუდიტის სუბიექტის მიერ შესწავლილი იქნა ის რისკები რომლებმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს დაწესებულების მიზნების მიღწევასა და ამოცანების შესრულებაზე. თითოეულ ანგარიშში დეტალურად არის აღწერილი ის აუდიტორული აღმოჩენები, რომლებიც აუდიტორთა ჯგუფის მიერ მიჩნეული იქნა კანონთან შეუსაბამოდ, თითოეული სუბიექტის მიმართ გაცემული იქნა სათანადო რეკომენდაციები, რომელთა შესრულება ჩვენი თვალსაზრისით ხელს შეუწყობს დაწესებულებას მის წინაშე მდგარი მიზნების მიღწევაში.

**დაგეგმილი აუდიტორული შემოწმებები**

**1. მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური**

მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურში ჩატარებული აუდიტორული შემოწმებით გამოვლინდა შემდეგი:

— მიმდინარე შემოწმებისას გადახედილი იქნა თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მძიმე ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეებზე მედიკამენტებით

**3** შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის 2022 წლის წლიური ანგარიში



დახმარების 2022 წლის პროგრამა, აღმოჩნდა რომ აღნიშნული პროგრამა ხასიათდება მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებით, პროგრამის მუშაობის მიზნით, მუნიციპალიტეტის მერიაში ცხადდება ტენდერი, რაც დაკავშირებულია სირთულეებთან, კერძოდ ხშირია შემთხვევა როდესაც ფარმაცევტული პროდუქტების შესყიდვის მიზნით განხორციელებული ელექტრონული ტენდერი არ შედგა და პროგრამა რამოდენიმე თვის მანძილზე ვერ ფუნქციონირებს, მოქალაქეთა გაზრდილი მომართვიანობის მიუხედავად ვერ ხერხდება „თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე ჯანმრთელობისა და სოციალურ მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეებზე მედიკამენტებით დახმარების 2022 წლის პროგრამიდან“ მათი დაკმაყოფილება. რის გამოც გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტმა მოახდინა მედიკამენტების შესყიდვა.

2022 წლის განმავლობაში თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე ჯანმრთელობისა და სოციალურ მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა მედიკამენტებით დახმარების პროგრამის კუთხით ფარმაცევტული საქონლის შეძენაზე გამოცხადდა ტენდერი 3-ჯერ, რომელიც არ შედგა. ჩატარებული აუდიტის შედეგად, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის ნორმალური ფუნქციონირებისათვის, გაიცა შესაბამისი რეკომენდაცია:

— ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურმა უზრუნველყოს მძიმე სოციალური ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეებზე მედიკამენტებით დახმარების 2022 წლის დახმარების ეფექტიანი პროგრამების შემუშავება, რომელიც დააკმაყოფილებს ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებს და დროულად მოხდება დახმარების განწევა.

## 2. მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მონწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახური

მერიის სივრცითი მონწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურში ჩატარებული აუდიტორული შემოწმების შედეგებზე გაიცა შემდეგი რეკომენდაციები.

— მიეცა რეკომენდაცია ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურს ინფრასტრუქტურული პროექტების დასრულებისთანავე შეადგინონ შესაბამისი აქტი თარიღისა და ვადის მითითებით, რაც უზრუნველყოფს ვადებისა და სხვა პირობების შესაძლო დარღვევის თავიდან აცილებას, შედეგად

4 შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის 2022 წლის წლიური ანგარიში



მიიღება ის პროდუქტი, რომელიც დაგეგმილია ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისათვის.

— შეიმუშაონ ეკონომიკური განვითარების მიზნით მუნიციპალური პროგრამები და პროექტები, მათ შორის წინადადებები დასკვნები და რეკომენდაციები ინვესტიციების მოზიდვისათვის, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის სოციალური პირობებისა და ინფრასტრუქტურის განვითარებას.

## 2. ა.(ა).ი.პ. „ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური“

მიიღება მერიის ა.(ა).ი.პ. „ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურში ჩატარებული აუდიტორული შემოწმებით გამოვლინდა შემდეგი:

- საქმიანობის წარმართვისას აღმოჩენილი დარღვევა ნაკლოვანებები.
- რესურსების გამოყენებისას და ფინანსური ანგარიშების შედგენისას მოქმედი საკანონმდებლო და სხვა აქტების მოთხოვნების დაუცველობა.
- არამართლზომიერი ხარჯვა-სახსრების ეკონომიურად ხარჯვის ვალდებულების დაუცველობა.

ჩატარებული აუდიტის შედეგად, სამსახურის შემდგომი ნორმალური მუშაობისათვის, გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები:

— მომავალში ანალოგიური დარღვევის თავიდან აცილების მიზნით გამოსწორებული იქნას აღნიშნული გარემოებები და საქმისწარმოების წესი დაექვემდებაროს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

— დაევალოს სამსახურის დირექტორს უზრუნველყოს სამსახურის თანამშრომელთა მხრიდან ელექტრონული პროგრამის გამოყენება და საქმის წარმოება დაექვემდებაროს ერთიან ელექტრონულ სისტემას.(MZDA)

— ა(ა)იპ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის შესყიდვების სპეციალისტს ჩაბარდეს თანამშრომელთა საშვებულებო ბრძანებები და მის მიერ გაკონტროლებული იქნას, მათ მიერ კუთვნილი სამსახურეობრივი ლიმიტით სარგებლობის უფლება.

მიეცეს რეკომენდაცია დაწესებულების დირექტორს გაამკაცროს მომთხოვნელობა თანამშრომელთა მიერ თანამდებობრივი ინსტრუქციების სათანადოდ შესრულებაზე და მეტი პასუხისმგებლობა გამოიჩინოს მისთვის მინიჭებული უფლება-მოვალეობების განხორციელებისას.

მიეცეს რეკომენდაცია ორგანიზაციას შვებულებების გაანაგარიშებისას გამოიყენოს სამუშაო დღეები და არა კალენდარული დღეები და ამოღებულ იქნას საბოლოო ანგარიშსწორება.

მიეცეს რეკომენდაცია დირექტორს გაამკაცროს მომთხოვნელობა თანამშრომელთა მიერ თანამდებობრივი ინსტრუქციების სათანადოდ შესრულებაზე და მეტი პასუხისმგებლობა გამოიჩინოს მისთვის მინიჭებული უფლება-მოვალეობების განხორციელებისას. შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურს დაევალა მუნიციპალიტეტის მერის 23 მარტის N ბ28.28220826 ბრძანებით ა(ა)იპ თერჯოლის სახელოვნებო განათლების, კულტურისა და ტურიზმის მუნიციპალური ცენტრის ფილიალის ჩხარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის კომპლექსური აუდიტორული შემოწმების ჩატარება. ჩატარებული აუდიტის შედეგად, ცენტრის შემდგომი ნორმალური მუშაობისათვის, გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები.

შიდა აუდიტის სუბიექტი ანხორციელებს მერიის სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და მერიის მიერ დაფუძნებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირებში შრომის დისციპლინისა და კანონიერების დაცვის სამსახურებრივ კონტროლს. სამსახურის დებულების მუხლივ. „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურმა 2022 წლის განმავლობაში ჩაატარა დისციპლინური წარმოებები, ჯამში 9.

2022 წლის 05 აპრილს მუნიციპალიტეტის მერის N ბ28.282209514 ბრძანებით დამტკიცდა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის მიერ დისციპლინის დაცვის მიზნით, მერიის სტრუქტურულ ერთეულებში, ა(ა)იპ-სა და ადმინისტრაციულ ერთეულებში განსახორციელებელი სამსახურებრივი კონტროლისას გამოსაყენებელი ოქმისა და აღრიცხვის ურუნალის ფორმები. 2022 წლის განმავლობაში ინსპექტირების კუთხით გამოყენებული იქნა 24 ოქმი.

2022 წლის აპრილის თვიდან შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურში მოხდა ვაკანტური ადგილების შევსება. აქედან გამომდინარე, 2023 წლიდან სამსახური უკეთ შეძლებს მიზნების მიღწევას და „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის, საერთაშორისო პროფესიული პრაქტიკის ჩარჩოსა და <sup>1</sup> (IPPF) შიდა აუდიტის მეთოდოლოგიას და სტანდარტების დაცვას. არსებული მდგომარეობა იძლევა შესაძლებლობას ოპტიმალურ დროში განხორციელდეს

<sup>1</sup> საერთაშორისო პროფესიული პრაქტიკის ჩარჩო (International Professional Practices Framework) - სტანდარტი 1100, 2000, 2010, 2030 და 2050

6 შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის 2022 წლის წლიური ანგარიში



რისკების შეფასების საფუძველზე გამოვლენილი პრიორიტეტული შიდა აუდიტის ობიექტების შემოწმება და შესაბამისი რწმუნების გაცემა.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახური მჭიდროდ თანამშრომლობს ფინანსთა სამინისტროს ჰარმონიზაციის ცენტრთან. ვღებულობთ მათგან საჭირო კონსულტაციებს სამსახურეობრივი მოვალეობის ეფექტურად წარმართვისათვის. ჰარმონიზაციის ცენტრის მიერ უზრუნველყოფილი ვართ ინსტრუქციებითა და სახელმძღვანელოებით. სამსახური საჭიროების შემთხვევაში თანამშრომლობს სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან. ვმონაწილეობთ ჰარმონიზაციის ცენტრის ეგიდით მოწყობილ სწავლებებსა და ტრენინგებში.

რისკების შეფასების საფუძველზე გამოვლენილი პრიორიტეტული შიდა აუდიტის ობიექტების შემოწმება და შესაბამისი რწმუნების გაცემა.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახური მჭიდროდ თანამშრომლობს ფინანსთა სამინისტროს ჰარმონიზაციის ცენტრთან. ვღებულობთ მათგან საჭირო კონსულტაციებს სამსახურეობრივი მოვალეობის ეფექტურად წარმართვისათვის. ჰარმონიზაციის ცენტრის მიერ უზრუნველყოფილი ვართ ინსტრუქციებითა და სახელმძღვანელოებით. სამსახური საჭიროების შემთხვევაში თანამშრომლობს სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან. ვმონაწილეობთ ჰარმონიზაციის ცენტრის ეგიდით მოწყობილ სწავლებებსა და ტრენინგებში.

შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსი ს. არაბიძე

